# შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

## ბრძანება № 01-01/28

**თბილისი** **“ 30 “ აპრილი 2018 წ.**

**დოკუმენტის დამტკიცების შესახებ:**

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლის, გთუნ–ის წესდების მე–5 მუხლის, “თამბაქოს კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების საფუძველზე

***ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:***

1. 2018 წლის 1 მაისიდან შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის შენობასა და ტერიტორიაზე აიკრძალოს თამბაქოს მოწევა.
2. დამტკიცდეს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებული დანართით № 1 განსაზღვრული მარეგულირებელი წესი.
3. უნივერსიტეტის ყველა შესასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილას განათავსდეს თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებული წესები, შესაბამისი წარწერა და ნიშანი თამბაქოს მოწევის აკრძალვის თაობაზე. აგრეთვე იმ ფიზიკური პირის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და სხვა ინფორმაცია, რომელთან დაკავშირებაც იქნება შესაძლებელი თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში.
4. დაევალოს კანცელარიას წინამდებარე ბრძანების გადაცემა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის.
5. ბრძანება საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომენდანტს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი გიორგი მათიაშვილი

# შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/28 30 აპრილი 2018 წ.

## შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში თამბაქოს მოწევის აკრძალვის მარეგულირებელი წესი

თბილისი

*დანართი №1*

## *შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში თამბაქოს მოწევის აკრძალვის მარეგულირებელი წესი*

**მუხლი 1.** შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში გთუნი) შენობა-ნაგებობებში და ტერიტორიაზე აკრძალულია თამბაქოს მოწევა.

**მუხლი 2.** გთუნი-ში დასაქმებული პერსონალი და სტუდენტები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ უნივერსიტეტში თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებით დადგენილ წესს.

**მუხლი 3.** გთუნი-ს პერსონალისა და სტუდენტის მიერ წინამდებარე წესის დარღვევის შემთხვევაში მათ მიეცემათ გაფრთხილება.

**მუხლი 4.** უნივერსიტეტის ყველა შესასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილას განთავსდეს კომენდანტის სახელი გვარი და ტელეფონის ნომერი. აღნიშნული წესების დარღვევის შემთხვევაში გთუნი-ს სტუდენტები და დასქმებული პირები ვალდებულნი არიან დარეკონ მითითებულ ტელეფონის ნომერზე და შეატყობინონ კომენდანტს წესების დარღვევის თაობაზე.

**მუხლი 5.** დამრღვევის მიერ აღნიშნული წესის დარღვევის გამო შესაბამისი ორგანოს მხრიდან უნივერსიტეტის მიმართ საჯარიმო სანქციის გამოყენების შემთხვევაში, დამრღვევს დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რაც დაიქვითება მისი შრომის ანაზღაურებიდან ან სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასურიდან.

**მუხლი 6.** წინამდებარე წესის შესრულების უზრუნველყოფაზე კონტროლს ახორციელებს გთუნი-ს კომენდანტი, რომელიც თავის მხრივ, დარღვევის შემთხვევის გამოვლენისას, მოხსენებით ბარათს წარუდგენს ფინანსურ დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის.